ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31

2014 წლის 22 დეკემბერი

ქ. თბილისი

,,ქურთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ქურთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებით (სსმ, ვებგვერდი, 050111, 04/01/2011; 010320010.35.146.016005) დამტკიცებული დანართი შეიცვალოს ახალი დანართით.

მუხლი 2

ეს დადგენილება ძალაში შევიდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

ქურთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გოდერძი ნებიერიძე**

დანართი №1

ქურთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1900
3	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1650
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1650
5	წამყვანი საჯარო თანამდებობა - საკრებულოს აპარატის უფროსი	1200
6	უმცროსი საჯარო თანამდებობა - წამყვანი სპეციალისტი	630